წელიწადი I-ლი

შაბათი 4 დეკემბერი

ფასი 15 მან.

# ბათომის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს თვიურა . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.
4 „ „ „ . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზეთ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 10 საათ. სად. 3ს.

№ 72 — ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო — № 72

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. გროვალ-სხირტლაძის

შაბათიდან 4 დეკემბრიდან დაიწყება

კინო-რომანის ჩვენება

ნიღაბი თეთრი კბილებით

16 ეპიზოდი—32 ნაწ.

მთავარ როლს ასრულებს

ცნობილი პირლ-უაიტი

6 სერია. ეპიზოდი—11 დამნაშავე და მართალი—12 მელნის ნიშანი

დასასრულ გადაცმულის თავგადასავალი სასაცილოა.

ანონსი: ოთხშაბათს, 8 დეკემბერს—7 სერია ნიღაბი თეთრი კბილებით

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია ახალ ზამთრით

ამერიკული სისტემით, მყუდროვე და თბილათ.

ხუთშაბათიდან, 1920 წ. 2 დეკემბერს

საღამო სიცილი და დროსტარება.

მონაწილეობას ღებულობს მაკს-ლინდერი,

მაკს-ლინდერი მ ო ნ ა ს ტ ე რ შ ი

და

ასეთი ცხოვრება.

ანონსი: ხუთშაბათიდან დეკემბრიდან სურათების ახალი გამოცვლა.

3 დეკემბრიდან ქალაქ ბათუმში,

ბათუმის ვაჟთა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში გაიხსნა

გურულ სიმღერა-გალობის სასწავლებელი

გურული მომღერალთა გუნდის მეთაურის,

ვარლამ სიმონიშვილის

ხელმძღვანელობით. მეცადინეობა დაიწყება საღამოს 7 საათიდან, მსურველთ შეუძლიან ჩაეწერონ ნორიაში კოპერატივ „სხივში“. მელიტონ ვასაძეხან.

კვირას 5 დეკემბერს

გამყრელიძის ცირკის შენობაში

გ. გ. აიოლო

წაიკითხავს მოხსენებას

მსოფლიო რევოლუციის შესახებ.

დასაწყისი 4 საათზე.

## ბათომი, 4 დეკემბერი.

ცენტრში უკვე დაიწყო მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოსარკვევად. რასაც მოყვება მუშა მოსამსახურეთათვის საჭირო დახმარების მიცემა და საერთოთ მათი უზრუნველყოფა.

სხვანაირად არც შეიძლებოდა, დემოკრატიული მთავრობა თუ არ იზრუნებს თავის მოხელეებზე აბა ვინ უნდა იზრუნოს. მუშა მოსამსახურეები თუ იტყვიან, რომ მათი ყოფა მეტად მწარეა ისინი განსაცდელში ვარდებიან, რისთვისაც მათ დღემდის უნდა მოქცეოდათ სათანადო ყურადღება, ცოტაოდენ დაფიქრების შემდგომ ამის პასუხს მუშა მოსამსახურენი დღევანდელ მომენტ დან მიიღებენ. ირგვლივ მდგომარეობა ჯადოსნობით არის მოცული, საქართველო საფრთხეს ელის და უმთავრესი ყურადღებაც იქით არის მიქცეული, მაგრამ ასეთ დროსაც მთავრობა არ ივიწყებს მუშა-მოსამსახურეებს და მის მდგომარეობის გამოსარკვევად მუშაობა უკვე დაიწყო.

სიხარულით ვხვდებით ამ მოვლენას. ვისურვოთ, რომ ცენტრალურმა კომისიამ რაც შეიძლება ჩქარა გამოარკვიოს მუშა მოსამსახურეთა საჭიროებანი, და სასწრაფოდ იქმნას მიღებული რეალური ზომები. მუშა-მოსამსახურე მოხელე სახელმწიფოს მანქანაა, ქვეყნის ნერვია და ყოველ ღონით ვეცადოთ მათ სისალეს...

მათი ნივთიერი და კულტურული კმაყოფა სახელმწიფოს შინაურ ინტერესის მოთხოვნილებაა, ბედის არა მტირალ მუშა-მოსამსახურე—მოხელეს ჩვენ სასტიკად მოვსთხოვთ მოვალეობის წმინდათ შესრულებას.

## ისევ სომხეთი.

საბედისწერო ჟამს აიღო სომხეთის ახალმა მთავრობამ ხელთ ქვეყნის საჭე: ომში გამტყდარი სომხეთი, ანარქიის ცეცხლში გადავარდნილი სოფლები, მეომარ მტრის კლანჭებში მოქცეული სომხეთი. ვინც იცნობს ოსმალეთის ბუნებას, მაშინ როცა ის გამარჯვებულია ის დაგვეთანხმება, რომ ახალ მთავრობას მეტად გაუჭირდება საზოგადოთ ზავის ჩამოგდება, ხოლო მის ხეირიანობაზე ლაპარაკიც უადგილოა. დიდი გამბედაობა და ენერგია გამოიჩინა ბ-მა ვრაციანმა ასეთი დროს მთავრობა რომ შეადგინა.

ჩვენ ვიცით რომ რუსული იმპერიალიზმი შეეცდება დღეს სომხეთის მდგომარეობით სარგებლობას, გაბოროტებულ მასებს დაუწყებს „ტკბილ კომუნისტურ ნანინას“.

და აი აქ უნდა გამოიჩინოს სომხეთის მთავრობამ თავის შემძლეობა და გამჭრიახობა. უკვე არის შავბედითი ცნობები, რომ სომხეთის ზოგიერთ ნაწილებში საბჭოთა მთავრობა გამოცხადებულა.

სომხეთს აზერბეიჯანის ბედი ელის თუ მან თავს ვერ უშველა.

სომხეთის ხალხმა და მთავრობამ დღეს უნდა დაიჭიროს ძნელი გამოცდა.

დღეს გამოჩნდება თუ რამდენად აფასებს სომხეთი საკუთარ სახელმწიფოებრივობას და რეალურად იბრძვის მის არსებობისთვის. სომხეთი ახალ უდიდეს განსაცდელშია, რუსული ბოლშევიზმი იწყებს მის სხეულის ლოკვას.

დაე შესძლოს სომხის ერმა ამ ეროვნულ უბედურებისგან თავის დახწევა, მეტი მზადება და ყველა ცოდნათა კონსპექტაცია, ყველა ძალთა მობილიზაცია ევალება დღეს სრულიად სომხის ხალხს, ამ ძნელ გამოცდის წინ.

ი. დიდიძე.

## განსაკუთრებულ მმართველობაში.

კოოპერატივ „სხივის“ გამგეობა თხოულობს განსაკუთრებულ რწმუნებულს, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ხუთი მილიონის უპროცენტო სესხის მიცემის შესახებ, რადგან 800 მუშის დაკმაყოფილება იმ თანხით, რომელიც მათ აქვს, კოოპერატივის გამგეობას არ შეუძლია.

— კოოპერატივ „სხივის“ გამგეობა თხოვს განსაკუთრებულ რწმუნებულს: ვინაიდან ის ბინა, რომელიც კოოპერატივს უჭირავს, რკინის გზელებს გადაეცა, დროებით სანამ გაგეობა ბინას იშოვნიდეს კოოპერატივი დატოვებულ იქნეს ძველ ადგილზე.

— განსაკუთრებული რწმუნებული სთხოვს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მიეცეს უვადო და უპროცენტო ხუთი მილიონი მანეთი სესხი კოოპერატივ „სხივის“ გამგეობას ოპერაციების გასაფართოებლათ.

— გუშინწინ ღამით თბილისს გაემგზავრა სამოქალაქო უწყების გამგე პოლკოვნიკი სულაქველიძე.

— განსაკუთრებულ რწმუნებულის საგანგებო მინდობილების იბერ ოფიცერი კაპიტანი კუპრაშვილი განსაკუთრებული რწმუნებულის მიერ გაგზავნილ იქნა თბილისში სამსახურის საქმეთა გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამფუძნებელი კრების წევრების მუშაობა ბათომის ოლქში.

(საუბარი ისიდორე რამიშვილთან.)

დამფუძნებელი კრებიდან დავალებული მქონდა დამეარა ბათომის და ართვინის ოლქის სოფლები. ასეთივე დავალებით ჩემთან წამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი ჰაიდარ აბაშიძე. ჩვენ გამოგზავრების წინ, საჭიროთ დავინახეთ მუშაობა გავეყო ორათ: ქობულეთისა და აჭარის რაიონებში გავემგზავრებულიყავით მე და ჰაიდარ აბაშიძე, ხოლო ართვინის ოლქში წასულიყო გიზო ანჯაფარიძე. ეს გაყოფა გამოიწვია იმ გადაწყვეტილებამ, რომელიც მიღებული იქნა თათბირისგან ჯერ კიდევ შინ. საქ. მინისტრის აქ ყოფნის დროს რომ ჩვენს მოგზაურობასთან ერთად მომხდარიყო სოფლად ადმინისტრაციის მოწყობა. მე და ჰაიდარ აბაშიძე შეუდექით მუშაობას ქობულეთის რაიონში. ჩვენთან ერთად დადიოდენ მეჯლისის წარმომადგენლები და ოლქის უფროსიც. ხუთ სათემოში გავაკეთეთ მოხსენება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ხალხი ყოველგან დიდი ინტერესსა და ყურადღებას ამჟღავნებდა იმ პოლიტიკისადმი, რომელსაც აწარმოებენ რესპუბლიკის უზენაესი ორგანოები **დამფუძნებელი კრება და მისი მთავრობა.** გამოთქვამდენ სინანულს რომ, მოყიდულმა პირებმა და უცხოელების თვალთმაქცობამ ისინი შეცდომაში შეიყვანა და დიდა სამშობლო საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა, მაგრამ თან დასძენდენ რომ ამიერიდან ასეთ შეცდომებს ადგილი აღარ ექნება. ითხოვდენ რომ ძველი შეცდომებისათვის არავინ დავსაჯოთ და თუ ვინმე ახალ დანაშაულს ჩაიდენს, იმით შესაპყრობათ თვით ხალხი დაეხმარებოდა ადმინისტრაციას. ყველგან გამოიტანეს, მთავრობისა და დამფუძნებელი კრებისადმი მისალმების, ერთგულებისა და მადლობის დადგენილება. ყველგან აგრეთვე აირჩიეს კომისარები და საბჭოს წევრები, ამით დასრულდა ჩვენი მუშაობა ქობულეთის რაიონში. შემდეგ გადავედით ჩაქვში. აქ წერილობითი მოხსენება გადმოგვცა ხალხმა, თხოულობდა ერთი მავნე პირის გაძევებას, რადგანაც მას იქ უწარმოებია ქემალისტური აგიტაცია. ჩემი შთაბეჭდილება ასეთია, რომ ახლა ხალხს არა აქვს სურვილი ადვილათ აყვეს მოსყიდულ ავანტიურისტებს, თუ ადმინისტრაცია თავის სიმაღლეზე იქნება და მავნე ელემენტებისაგან სოფლების გაწმენდაში ენერგიის მაქსიმუმს გამოიჩენს. დარწმუნებული ვართ თვით ხალხი მართლაც დაეხმარება. ჩემის აზრით დროა ოლქში რეფორმების გატარებისა და დადებითი მუშაობის გაძლიერების.

მთავარი ყურადღება ეხლა უნდა მიექცეს სკოლებს და გზებს, რაც გაკეთებულა დღემდი იმაზე მეტის გაკეთება არსებულ პირობებში შეუძლებელი იყო, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია და საქმის გადადება ყოვლად შეუძლებლათ მიმაჩნია. ჩემის ფიქრით სკოლები, ცოტა სხვანაირათ უნდა ავგოთ. აქაურ მთიან ადგილებში, როგორიც არის მაგალითად ქახათი, ზერაბოსელი და აგარა, ცენტრალური ადგილის პოვნა რომელიმე ოთხ განყოფილებიანი სკოლისათვის ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა დაარსდეს სხვა და სხვა სოფლებში ორ-ორი განყოფილებიანი წერა-კითხვის სკოლები თითო მასწავლებლით. ასეთი სკოლები ბევრგან შეიძლება გაიხსნას, ნაყოფიც მეტი იქნება, და ხარჯი ნაკლები. მივაქციე რა ამაზე განათლების სამინისტროსა და საგანგებო რწმუნებულის ყურადღებას,—ურჩევ დაუყონებლივ შეუდგენ ამ საქმის მოწესრიგებას ფრიად საჭიროა აგრეთვე დიდებთან სალამოობით მეცადინეობა. მე პირადათ დავრწმუნდი ადგილობრივ, რომ მოზრდილები ხალისით ივლიან ასეთ მეცადინეობაზე. ადგილობრივი ადმინისტრაცია ცხლავე უნდა შეუდგეს გზების გაყვანის თავდარიგს.

ქობულეთის რაიონის ჩამოვლის შემდეგ მე გავემგზავრე აჭარისკენ. თან მახლდენ ახალი ოლქის უფროსი მიქაბერიძე და ოლქის მილიციის უფროსი ქურდანია, ჩვენ განზრახული გვქონდა მუშაობის დაწყება ზემო აჭარიდან, რომ დიდი თოვლის მოსვლამდის ეს მაღალი ადგილები დაგვევლო, მაგრამ ძლივს ძლივობით ქედამდის მივაღწიეთ. თოვლმა გზა შეგვიკრა. დავრჩით იქ შევძელით ორი საზოგადოების ქედისა და ცხმორისის მცხოვრებთა ყრილობის ერთად მოწვევა. მიუხედავად დიდი თოვლისა ხალხი ბლომად მოვიდა ყრილობაზე. ხალხმა განაცხადა, რომ აქაური ხალხს ჯანყებში მონაწილეობა არ მიუღია, იმასაც ამტკიცებდენ, რომ საქართველოს შემოსვლის შემდეგ, სედაიწილეთლების მუშაობაც შეწყდა. აქაც ითხოვეს სასჯელის პატიება იმათთვის, ვისაც ინგლისის დროინდელი დანაშაულობა ედებოდა. ჩვენ, როგორც სხვაგან, აქაც აღვუთქვით ასეთების პატიება, თუ ახალი დანაშაულს არ ჩაიდენენ საქართველოს წინააღმდეგ.

პირველათ კომისრების არჩევაზე უარი განაცხადეს, იმ შიშის გამო, რომ მთავრობა კომისრისა და კანცელარიის შესანახ ხარჯებს ხალხს დააკისრებს. ახსნა განმარტების შემდეგ, ორივე თემმა აირჩიეს თავთავიანთი კომისრები. ქედაში ახლა ორი დასწავლებელი ზის, მაგრამ საქმე არც ერთს არ აქვს. შეგირდები სუთიდან რვა ბავშვამდის ხან დადიან სასწავლებელში და ხან არა, სასწავლებელს ხოჯა არ ყავს. ორ ხოჯას უთხოვიათ ადგილი, მაგრამ ვერ მორიგებულან. საჭიროა არც ერთ იმათგანი არ იქნას დანიშნული და ბათომიდან იქნას გაგზავნილი სხვა ვინმე ხოჯა. საჭიროა სკოლებისათვის ცალკე რაიონების გამოჭრა და ამისათვის უნდა მიიცაროს განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა ბ-ნმა კ. ქავთარაძემ და რასაკვირველია ადმინისტრაცია მაც უნდა იზრუნოს ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან საკითხე. ქედაში არსებობს საავადმყოფო, რომელსაც განაგებს საქმის და ხალხის მოყვარული ექიმი მ. იაშვილი, მან გაიჩვენა წიგნები, რომლიდანაც ჩანს, რომ ხუთი თვის განმავლობაში მას 4000 ავადმყოფი მიუღია და ხალხიც ძლიერ ეტანება ამ საავადმყოფოს. ექიმმა განაცხადა, რომ თავის დროზე ვერ იღებს ვერც წამლებს, ვერც სურსათს ქედაში კოოპერატივსაც კარგად უმუშავნია. სასიამოვნოა რომ, კოოპერატიული დუქნები სხვა სოფლებშიც მოეწყოს

1 დეკემბერს მოხდა სახალხო ყრილობა სოფ. გონიოში. ხალხი ბევრი დაესწრო, თუ აქამდის ყოველგან ხალხს პირდაპირ ესაუბრებოდით, გონიაში სამწუხაროთ თარჯიმანი შეიქმნა საჭირო, რადგან, მე მეგრული არ ვიცოდი და აქაურ ჭანებს ქართული ნაკლებათ გაეგებათ. აქაც მოხსენება, აქაც ერთგულებისა და მორჩილების რეზოლიუცია და ბოლოს კომისრის არჩევა. 2 დეკემბერს მოხდა კახაბერის თემის ყრილობა, აქ აირჩიეს კომისარი 3 დეკემბერს განზრახულია სახალხო ყრილობა აჭარის წყალზე 4 და 5 მარადიდში.

## ბუდუ მდივანი ოსმალეთმა არ მიიღეს.

როს ბოლშევიკთა სახელით განსაკუთრებულ წარმომადგენლად გუბრის საზავო კომფერენციაზე გაგზავნილი ბუდუ მდივანი ოსმალეთმა არ მიიღეს.

## ბოლშევიზმი სომხეთში.

რუსეთის საეჩოს ცნობით, სომხეთის კომუნისტურმა პარტიამ ჩაიგდო ხელში დელიჟანისა და ქარავანსარაის აჯანყებული მაზრები, გამოაცხადა ,,სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა'', შეადგინა ,,რევკომი'' ქ. დელიჟანში და მოიწვია რუსეთის ბოლშევიკური ჯარი დასახმარებლად.

— გუმბრში ბოლშევიკური აჯანყება მომხდარა, გამოუცხადებიათ საბჭოთა მთავრობა.

— მთელ სომხეთში ინტენსიური აგიტაცია სწარმოებს ბოლშევიზმის ხალხში შესატანად.

— ქ. ლევენჯანი საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დაიკავეს, ამის გამო სომხეთის პრემიერმა პროტესტით მიმართა რუსეთის დესპანს ბ-ნ ლეგრანს.

— ხმებია ყარსშიც ბოლშევიკურ საბჭოებს აცხადებენო.

## უკანასკნელი საათი.

სომხეთის შესახებ.

სომხეთის გენერალურ საკონსულოს ცნობით კასიანმა ბაქოში შეადგინა სომხეთის საბჭოთა რევკომი, სთხოვა დახმარება რუსეთს და გამგზავრა სომხეთში არსებულ მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლათ.

კასიანმა უკვე აიღო ქ. დელიჟანი და მიდის წინ.

## ქრონიკა.

დღეს აჭარაში გაემგზავრენ დამფუძნებელი კრების წევრი ისიდორე რამიშვილი, ბათომის ოლქის კომისარი მიქაბერიძე და ორი მეჯლისის წევრები.

ქალაქის საბჭოს სხდომაზე 3 დეკემბერს გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1 დაარსება დროებითი განსაკუთრებულ კონტროლისა შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად გაწეულ ხარჯებისათვის. 2. გაწერა საშუალო საქციზო გადასახადისა ქალაქის სასარგებლოთ 1921 წლისათვის. 3. დაარსება თვითმართველობის საბანკო განყოფილებისა, ხარჯთ-აღრიცხვა იმისი და შტატები. 4. მოწვევა სასურსათო განყოფილების ცალკე გამგისა. 5. ქალაქის საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის ქალაქის აღწერა და იმისი ხარჯები; ქვეშევრდომობის კანონის განხორციელება. 6. გაკეთება დასამაგრებელ სათავისის, შერნაოე მეჯინისუს ახალი კალა... ლოქის სასაფლაოსთან ... ლი გზის მოზვინვა. 7. დასამაგრებელ ქვის კედლის გაკეთება წყალსადენის მილის დასაფარავად ბარცხანის საზარბაზნოებთან ზღვის პირათ, სიგრძით 7 საჟენისა. 8. 90% გადასახადიდან განთავისუფლება ზოგიერთ საქველმოქმედო დაწესებულებათა. 9. სპარსელთა საქველმოქმედო საზოგადოების თხოვნა 30% გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ. 10. დაწესება გამგეობის მდივნის თანაშემწის და საქმის მწარმოებლის თანამდებობათა 11. სანიტარულ აგენტის ლანტინის ქვრივის ბარბარე ლანტინასათვის ერთდროულ დახმარების 13.000 მანეთის მიცემა. 12. ქრისტეფორე აბულიძის 5000 მან, დახმარების მიცემა ღარიბთა დასახმარებელ თანხიდან. 13. ბერტა სვიატკოვსკაიას თხოვნა საჯარო ვაჭრობის დარბაზის გახსნის შესახებ 14 არჩევა ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზის გამგისა და შემფასებლის.

სია ბათომის ადგილობრივ სამხედრო სამკურნალოს მუშა-მოსამსახურეთა, რომლებსაც შეცდომით შეჰყავდათ მუშათა მაგიდა და დაქონდათ მაგიდის რაციონი იმდენი, რამდენიც არ ერგებოდათ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გაბუნია ივ. | ერგებოდა | 1 | მიჰქონდა | 2 | სუ: |
| დემურთვი სონ ა | ,, | 2 | ,, | 3 | ,, |
| ნოდია იოსებ | ,, | 1 | ,, | 2 | ,, |
| გოგბერიძე ნეს, | ,, | 1 | ,, | 2 | ,, |
| ხელაძე სარრა | ,, | 1 | ,, | 3 | ,, |
| თოდრია თამარა | ,, | 1 | ,, | 2 | ,, |
| ჩაბრავა მატრონა | ,, | 1 | ,, | 3 | ,, |
| გაბელია კატო | ,, | 1 | ,, | 2 | ,, |
| შერემეტევი ივ, სამსახურში არ იცვლება | | | ,, | 1 | ,, |

30/11 ბათომის სადგურის დარბაზში იპოვნეს სხვა და სხვა საჭირო საბუთები მოქალაქე ვალერიან პარმენის-ძე კოიმსაძეს სახელზე. დამკარგველს შეუძლია ჩაიბაროს აღნიშნული საბუთები, ბათომის უბნის რკ. გზის მილიციის უფროსის სამმართველოში.

ვინაიდგან ბათომის უბნის რკ. გზ. მილიციის უფროსი ი. მგრელაძე ჯარში გაიწვიეს, მისი მაგიერ დროებით დაინიშნა მისი თანაშემწე ვ. გოგუა.

## საქართველოს ხალხს.

ამ ექვსი წლის წინათ ატყდა დიდი ომი, მიუხედავათ მრავალ საზავო ხელშეკრულებათა დადებისა ჯერ კიდევ არ დაბოლოვებულა მთლათ. ამასთანავე დამარცხებულ ქვეყნებში დაწყებული რევოლიუციური მოძრაობა ზოგან, განსაკუთრებით რუსეთში, სამოქალაქო ომად დამთავრდა რაც კიდევ უფრო აფერხებს საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარებას

ეს მუდმივი საერთაშორისო მოუსვენრობა და გართულება ახდენს თავის უარყოფით გავლენას ჩვენს თავისუფალ სამშობლოზედაც; ცეცხლის ალი არამც თუ არ შორდება მას, არამედ უახლოვდება კიდეც. არ არის სრულიად მოულოდნელი, რომ დიდ სახელმწიფოთა ურთიერთთა ქიშპობამ და ინტერესთა წინააღმდეგობამ თვით ჩვენი ტერიტორია გახადოს, ჩვენდა დამოუკიდებლათ, სამხედრო მოქმედების ასპარეზად.

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დამფუძნებელი კრება და მთავრობა მტკიცეთ იცავდენ თავიდანვე საქვეყნოთ აღიარებულ ნეიტრალობის პრინციპს, მათ ერთხელაც არ უღალატნიათ მისთვის, ერთხელაც არ უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრით მეზობელ სახელმწიფოთა საქმეში ჩარევა ან კიდევ მათი უფლების და ტერიტორიულ ხელშეუხებლობის შელახვა. ასეთს ნაბიჯს შეუძლებლად ხდის თვით ჩვენი სახელმწიფოს უაღრესი დემოკრატიული წყობილება, აგებული ერთი სოლიდარობის საფუძველზე.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენი ხალხი არა ერთხელ გახდა იძულებული აესხა ფარ-ხმალი მომხდომ მტრის მოსაგერებლათ; არა ერთხელ მოევლინა ჩვენი მამაცი ჯარი და გვარდია მხსნელად და მცველად დიდი სამშობლოს, მის წმინდათაწმინდას რევოლიუციურ მონაპოვართ, მის დიდებას და პატიოსნებას.

დღესაც იგივე წამი ახლოვდება ქართველი ერისა ვის, იგივე ომის ჩრდილი ჩნდება მის წინ. ქემალფაშის ჯარმა, რომელიც შევსია სომხეთს, შესაძლოა ჩვენსკენ იბრუნოს პირი. ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება, ამ სამი წლის წინათ მიღებული, როცა ოსმალო პირის პირ ტყვიით გვებრძოდა, ხოლო ზურგში მახვილსა გვცემდა, როცა მან ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი სისხლით მორწყული ბათუმი.

მართალია, საქართველო იგი არ არის დღეს, რაც 1918 წ. იყო. მან არამც თუ დაამსხვრია მონობის ბორკილები, არამედ შეინარჩუნა ბოლომდის დამოუკიდებლობა და თავისუფლება; მან დასდო ხელშეკრულება რუსეთთან, რომლის ძალით უკანასკნელმა იცნო მისი უდაო უფლება როგორც ბათუმზე, ისე მთელს ეხლანდელ მის ტერიტორიაზე; ის უკვე ჩაება საერთაშორისო ფერხულში, რასაც ხელს უწყობს მისი გეოგრაფიული მდებარეობაც...

მაგრამ, სანამ არ შეუქმნიათ ნამდვილი გარანტია მშვიდობიანობისთვის, სანამ ჩვენს მეზობლად არ დამკვიდრებულა ნორმალური მდგომარეობა, საქართველო არ არის და არც შეიძლება იყოს დაზღვეული გარეშე ხიფათისაგან.

ამიტომ თავდაცვის საქმე არის და ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი საგანი.

დამფუძნებელი კრება და მთავრობა ხმარობენ ყოველ ღონეს, რომ კარგად მოაწყონ თავდაცვის საქმე, მაგრამ ეს არ კმარა.

საჭიროა თვით ხალხმაც გამოიჩინოს დროს შესაფერი სიფხიზლე და გამჭრიახობა, მანაც აამოქმედოს მთელი თავისი ცოცხალი ძალები, მანაც დაანახვოს მტერსა და მოყვარეს საქმით, რომ ის არ იშურებს არასფერს თავისუფალ სამშობლოს საკეთილდღეოთ.

ერთი ასეთი საქმე არის რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის შექმნა, რომლის თავდარიგს შეუდგა მთავარი გამგეობა, შემდგარი ყველა ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების, ერობათა, ქალაქთა, პროფესიულ და კოოპერატიულ კავშირთა ცენტრალურ დაწესებულებათა და ქალაქის გამგეობის და ვაჭრობა მრეწველობის პალატის წარმომადგენელთაგან.

მთავარ გამგეობის შემადგენლობა თავის თავად ცხადყოფს, რომ საქმე, რომელიც ეკისრია გამგეობას არის უაღრესათ ეროვნული და და უდაო. როცა კითხვა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ყოფნა არ ყოფნას ეხება, მაშინ არ არის პარტია, არც კლასი, არც შთამომავლობა,— ყველა ერთია, ქართველი ერი, საქართველოს ხალხი ერთი ცოცხალი ორგანიზმია, აღტინებული ერთი გრძნობით და გამსჭვალული შეუდრეკელი ნებისყოფით.

აქედან, თავდაცვის ფონდის შექმნაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველამ: დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მდიდარმა და ღარიბმა.

თავდაცვის ფონდი უნდა შესდგეს ხორბლეულობისა და სხვა სასოფლო ნაწარმოებისა, ნივთეულობისა და ფულისაგან.

ყველამ თავის ხელობის და სოციალურ მდგომარეობის შესაფერისი წვლილი უნდა გაიღოს: გლეხმა პური, სიმინდი, ქერი, მატყლი და სხ., მუშამ და მოსამსახურემ თავის შრომის ხელფასის ერთი ნაწილი, მდიდარმა ნივთეულობა და ფული.

განსაკუთრებულია ქალების მოვალეობა. ისინი ღირსი არ იქნებოდენ სამშობლოსათვის წამებულ მათი წინაპრებისა, რომ დაეშურათ მათ მიერ სამკაულად ხმარებული ერთი რომელიმე ძვირფასი ნივთი საერთო სამსხვერპლოზე მისატანათ.

საქართველოს ხალხო!

გახსოვდეს, რომ შენ სდგეხარ შენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საბოლოო ჩამოყალიბების უკანასკნელ საფეხურზე: კიდევ ერთი ნაბიჯი და შენ შეხვალ თავისუფალ ერთა ოჯახში სწორუფლებიან წევრად. შენი საგმირო საქმეები იპყრობს ევროპის სახელმწიფოთა ყურადღებას, საერთაშორისო დემოკრატია აქტიურათ თანაუგრძნობს შენს დამოუკიდებელ არსებობას. სამი წლის შენი ჰაპან-წყვეტა, სასტიკი ბრძოლა და უზომო მსხვერპლი საცაა შენის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

შენ ყოველთვის ეყრდნობოდი შენს მაჯას, შენს მახვილ გონებას, შენს გამჭრიახობას. დემოკრატია, მშრომელი მასსა ვერ დაეყრდნობა სხვის იმედებს და ის ხომ შენი პირმშოა, მებაირახტრე.

ერის უფლება გულისხმობს ერის მოვალეობასაც,—და ეს კი გიკარნახებს შენ იქონიო მუდმივი მზრუნველობა შენი თავისუფლების მთელი შენი არსებობით დაცვისათვის. შენ ყოველ წუთს მზად უნდა იყო მყისვე გასცე შესაფერი პასუხი ყოველს შენს კარზე მომდგარ საერთაშორისო გართულებას.

თავდაცვის ფონდი მკვეთრი იარაღია შენს ხელში. შენ არასდროს არ დაუშვებ, რომ შენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა გარეშე ტლანქმა ძალამ ფეხქვეშ გასთელოს, არც იმას დაუშვებ, რომ შენი ჯარი და გვარდია, როცა ისინი სიცოცხლეს არ იშურებენ შენი ბედნიერებისათვის, მშიერი, შიშველი და წყლულ შეხვევლი დარჩეს.

სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს ხალხი განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა, სქესისა და წლოვანებისა პირნათლად შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე,—რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა ამიერიდან იწყებს თავის მოქმედებას.

მთავარი გამგეობა გახსნის ადგილობრივ განყოფილებებს მთელს რესპუბლიკაში, დაუგზავნის მათ ინსტრუქციებს, გაუწევს მათ მუშაობას ხელმძღვანელობას და კონტროლს.

მისამართი: ფოსტით—ტფილისი, სასახლე, თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა; ტელეგრამით—თავდაცვის ფონდი.

რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე

**აკ. ჩხენკელი.**

## ბათომის ჯამაგირების შესახებ.

გაზ. „კომუნისტს (იხ. 30 ნოემბრის ნომერი) კორესპონდენცია ბათომიდან აქაურ მუშა მოსამსახურეთა შესახებ.

გაზ. „კომუნისტს" ბათომის მუშა მოსამსახურენი დაუყვია ორ კატეგორიათ. ერთნი ჩაგრულებათ და მეორენი ფუფუნებაში მყოფებათ. ერთნი ღებენ ორმაგ ჯამაგირს: მოვლინებისას და ძირითადს მეორენი მხოლოდ ძირითადს-ადგილ-მსახურების მიხედვით.

გაზ. „კომუნისტი" ვითა მფარველი ყველა ტანჯულ დაჩაგრულთა თავის კალთას აფარებს ამ უბედურ მოსამსახურეებს. ამის შესახებ ჩვენი თანამშრომელი ელაპარაკა მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს ბ-ნ გრიგოლ გიორგაძეს, რომელმაც განაცხადა რომ მართალია პირველ ხანებში მართლაც ჰქონდა ადგილი ორნაირ ჯამაგირს, მაგრამ შემდგომ თანახმად სახელწიფო კონტროლის მოხსენებისა ზოგიერთთათვის ორნაირ ჯამაგირების გაუქმების შესახებ, ჩვენ შევთანხმდით რომ ყველა მოსამსახურენი ჯამაგირით ერთმანეთს გაუთანასწორდენ. აი ოფიციალური განმარტება.

როგორც სჩანს გაზ. „კომუნისტის" მფარველობას არავინ საჭიროებს მაგრამ გაზ. „კომუნისტი" რა „კომუნისტია" თუ ის საპროვოკაციოს არაფერს გამოსჩხრეკს ყოველ დღიურათ თავის ფურცლების დასამშვენებლად.

# ბაქო.

„წითელი" აზერბეიჯანი

უდაო ჭეშმარიტებაა, რომ მსოფლიო განმანადგურებელ ომის შემდეგ კაცობრიობა ეკონომიურად დაქვეითდა. თუ ეს ითქმის საზოგადოდ, მით უმეტეს ასჯერ მეტად უბედურში გახდა ამ მხრივ ყოფილი რუსეთის ტერიტორია. გამონაკლისს რა თქმა უნდა არც აზერბეიჯანი შეადგენდა. მუშათა კლასი, რომელიც იმ ზომამდე არ ამაღლებულა, რომ ცხოვრებას ამა თუ იმ მოვლენას ღრმა ანალიზი გაუკეთეს, მუდამ მერყეობას განიცდიდა და ყოველ ცვლილებაში ელოდა ხსნას. ეს ყალბი შეხედულება დაჰყვა თავიდან ბაქოს მუშათა კლასს. ჩვენ ვიცით, რომ მათ დროებითი მთავრობის შემდეგ ბოლშევიკებს მიკედლენ. მასთან ისიც ვიცით, რომ იმავე ბაქოს მუშათა კლასმა 1918 წელში, როდესაც ბოლშევიკებმა იმედები ვერ გაუმართლა, იმავე ბოლშევიკებს მცირე ყოყმანის შემდეგ ზურგი აქციეს და იმავე დროს მუსავატელების სამეფოში თვითმოქმედი ინიციატივა ვერ გამოიჩინეს, ეს იმიტომ, რომ ცხოვრებას ვერ აუღეს ალღო და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ვერც პოლიტიკური და ვერც მორალური გავლენა ვერ მოიპოვეს, და ამის შემდეგ ჩრდილოეთისკენ დაიწყეს ცქერა. ისარგებლეს რა იმ სახელმწიფოებრივი გახრწნით, რომელზედაც მე პირველ წერილში მქონდა ლაპარაკი, მოახდინეს უეცარი გადატრიალება. მუშათა ენტუზიაზმს პირველ დღეებში საზღვარი არ ქონდა. მუშათა კლასი აღსდგა როგორც ერთი კაცი ფეხზე და იარაღით ხელში თავგამოდებით იცავდა სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად მთელ ქალაქს. ბოლშევიკებმა არ დააყოვნეს იმათი გულის მოგება და გამოსცეს დეკრეტი, რომლის ძალითაც ჯამაგირების ნორმის [illegible] ყველა მუშას მიეცა ავანსის სახით დაწყებული 6000 მანეთიდან ვიდრე 10000 მანეთამდე.

ეს ის დრო იყო, როცა ბაქოში ამ ჯამაგირებით საუცხოვოთ შეიძლებოდა ცხოვრება, რადგან თეთრი პური 20 მანეთი ღირდა გირვანქა, კარგი მუქი პური კი 15 მ. გირვანქა, ხორცი 15 მ. გირვანქა ასე იაფი ღირდა სხვა საქონელიც. ამას მიუმატეთ ისიც, რომ პირველ ხანებში ნაძარცვი საქონლებიც (უკაცრავათ ე. ი. რეკვიზიციით ჩამორთმეული) ცოტ-ცოტა დაურიგეს ყველას. ყოველივე ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, მათ კმაყოფილებას დროებით მაინც საზღვარი არ ქონდა. მართლაც, როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერი დროებითია, და ეს მათი ბედნიერებაც ხანმოკლე გამოდგა. რადგან სულ მალე რუსეთიდან დიდძალი ბოლშევიკები გადმოსახლდნენ ბაქოში და ჯარებით ხომ სულ აავსეს იქაურობა, ნელ-ნელა ჩაიგდეს ყველაფერი ხელში, გამაგრდნენ კარგად, დააყენეს მაღალ ღონეზედ ცნობილი ჩრეზვიჩაიკები და შეუდგნენ „საქმიანობას": გაზიდეს რუსეთში რის გაზიდვაც კი შეიძლებოდა.

ქალაქი დაცარიელდა ყოველივე საგნებისაგან. ამან რათქმა უნდა გამოიწვია ფასების საზღაპრო ზრდა. გაისმა აქა იქ ჩუმი უკმაყოფილება წუწუნის მოკლება უნდოთ, და ბოლშევიკებმაც შეიმუშავეს ახალი დეკრეტი, რომლითაც ჯამაგირის მინიმუმი დააწესეს 2400 მ. მაქსიმუმი 9600 მანეთი.

ამ გარემოებამ დამწვარზე დუღარე გადაასხა. დაიბადა უზომო უკმაყოფილება, მაგრამ საჯაროთ გაბედვა ამისა შეუძლებელი იყო. გამონაკლისებს აი როგორ უმასპინძლდებოდნენ „ამხანაგები": ერთ მშვენიერ დღეს ნავთის სამრეწველო ნაწილში მიტინგი იყო დანიშნული მომხსენებლებათ გამოვიდნენ ცნობილი ბოლშევიკები ნანეიშვილი და მიკოიანი როდესაც ნანეიშვილმა დაიწყო „რეჩი" აღმოსავლეთის რევოლიუციაზე, ინდოეთის გაბედნიერებაზე და სხვა დამსწრე მუშებმა იყვირეს: ჩვენ აღმოსავლეთის რევოლიუცია კი არა პური გვშიანო" და სხვა. შედეგი ის იყო, რომ კრება შეწყვიტეს და რამდენიმე ურჩი მუშა დაპატიმრებული ჩრეზვიჩაიკაში მიაბრძანეს, დანარჩენებს კი ხიშტების შემწეობით მოასმენინეს ქვეყნის აშენების ზღაპრები. ამნაირად რა მიიღოს ბაქოს მუშებმა ბოლშევიკებისაგან: ეკონომიურად სრული განადგურება, პატიოსანი მუშა დღეს იქ თითქმის სრულიად მშიერი და შიშველი, პოლიტიკურად მონობა, მონობა ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, რადგან მას არ შეუძლია არა თუ პრესის საშვალებით სრული ჭეშმარიტების თქმა, არამედ არც არავითარ კრებაზედ. მას შეუძლია მხოლოდ თქვას პრესაში თუ კრებებზე მხოლოდ ის, რასაც ზევით ფიქრობენ ე. ი. მოწონება მათი „საქმიანობის" და მათი ქება დიდება. სალი კრიტიკა, საკუთარი აზრი მხოლოდ ჩრეზვიჩაიკაში მიგიყვანს. ეს უკანასკნელი კი ის დაწესებულებაა, საიდანაც თავისუფლად მოაზროვნე უკან არასოდეს არ ბრუნდება.

თუ როგორი სულიერი განწყობილებაა საერთოდ აზერბეიჯანში ბოლშევიკების მიმართ, ამაზედ შემდეგ წერილში.

რ. ქაქაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშათა მოძრაობა.

ალბერ ტომა შრომის საერთაშორისო ბიუროს შესახებ.

საერთაშორისო მუშათა კანონმდებლობის საქმის ცხოვრებაში გატარების გამოსაცოცხლებლათ ალბერ ტომამ იმგზავრა ევროპის სხვა და სხვა ცენტრებში, სხვათა შორის ბერლინში, ვარშავაში და პრაგაში. მისი მიზანი იყო კავშირის დაჭერა როგორც მუშათა ისე მწარმოებელთა ორგანიზაციებთან, და მთავრობებთან პირადი მოლაპარაკებით დამტკიცება უკანასკნელთა მიერ იმ კონვენციების, რომელიც დადებული იქნა ჯერ ვაშინგტონში და შემდეგ გენუაში. ამას გარდა ალბერ ტომას მიზნათ ჰქონდა დაერწმუნებია მუშები ამ საერთაშორისო საქმის მხარის დაჭერის აუცილებლობაში. მესამე მიზანი იყო—1921 წელს მიწის დამმუშავებელთა კონგრესის მოწვევის შესახებ მოლაპარაკება.

ალბერ ტომას აზრით ჩეხო-სლოვაკია და პოლონეთი წარმოადგენენ საუკეთესო ნიადაგს მის მიერ დაწყებულ მუშაობისთვის, რადგან მსხვილი მიწადმფლობელობის არსებობა ამ სახელმწიფოებში ძლიერ აადვილებს საქმეს. უფრო ძნელია ყრილობის მოწვევა იმ სახელმწიფოებში სადაც წვრილი მიწადმფლობელობა არის. შრომის ინსპექციის გავლენის სფერო და ამ გავლენის რაოდენობა მჭიდროთ არის დაკავშირებული კონგრესის მუშაობასთან. ეს ნათელია მაგალითად სოფლის მეურნეობაში 8 საათის მუშაობის გატარების საკითხში. ჩეხო სლოვაკიაში განზრახვა აქვთ სოფლის მეურნეობაში შემოიღონ 8 საათის სამუშაო დღე. თუ ეს ცდა არ [illegible], მაშინ ყველა ქვეყნებ სათვის სასოფლო მეურნეობაში შემოღებული იქნება 8 საათი სამუშაო დღე.

მუშათა ორგანიზაციების ზეგავლენით ვერსალის ტრაქტატში ვხედავთ სპეციალურ § 13, რომელიც მუშათა საკითხს ეხება. ტომა ამას თვლის უდიდეს მნიშვნელობის ფაქტად, რადგან ახლა ყველაზე უფრო აშკარად ვიდრე ოდესმე ვხედავთ, რომ ევროპის მეურნეობა—მრეწველობის აღდგენა შეუძლებელია ცალკე ქვეყნების [illegible] ღონისძიებით—ამას მიაღწევს მხოლოდ შეკავშირებული ენერგია, მუშათა ორგანიზაციების და სწორ სოციალურ შემოქმედების გზაზე დამდგარ მთავრობის და მწარმოებლების ძალების მობილიზაცია.

ბიუროს ადმინისტრატიულ საბჭოში შედის 48 სახელმწიფოს წარმომადგენელი. არ იღებს მონაწილეობას შეერთებული შტატები, რომელსაც ჯერაც არ დაუმტკიცებია ვერსალის ხელშეკრულება, და საბჭოთა რუსეთი.

პირველ კონფერენციაზე ვაშინგტონში მიღებული იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) 8 საათი სამუშაო დღე, 48 საათი მუშაობა კვირაში 2) უმუშევრობის შესახებ, 3) ქალთა შრომის შესახებ მშობიარობამდი და მშობიარობის შემდეგ, 4) ქალთა ღამით მუშაობის შესახებ, 5) სამუშაოზე დასაშვებ ბავშვების ჰასაკის შესახებ (14 წ.) და 6) ბავშვების ღამით მუშაობის შესახებ.

გენუის კონფერენციამ, რომელიც შესდგა ამა წლის ივლისში მიიღო დადგენილებანი მეზღვაურთა შრომის შესახებ.

შრომის ინტერნაციონალურ ბიუროს აქვს ყველა საშვალებები, სასწავლო, სალიტერატურო და სხვა, დიდი და სასარგებლო მუშაობის შესასრულებლათ.

კერძო ბაასში ალბერ ტომამ აზრი გამოსთქვა ბოლშევიზმის შესახებ. ტომას აზრით ბოლშევიზმი არის ძალა, რომელიც ანგრევს კაცობრიობის ცხოვრებას და უმთავრესად კი სოციალიზმს. ბოლშევიზმი ეს არის ტერორის და ძალადობის სისტემა, რომელსაც მიზნათ აქვს სოციალური გადატრიალების მოხდენა მასების მოუმზადებლად და სოციალურ-ეკონომიურ პირობების გაუთვალისწინებლათ. ეს არის პირდაპირი ბრძოლა სოციალიზმთან. ბოლშევიზმი რუსეთში უსათუოდ მოისპობა, მაგრამ როდის?

ტომას აზრით, ევროპის ეკონომიურათ აღდგენა მოხდება არა 50 წლის შემდეგ, როგორც წინად ფიქრობდენ, არამედ 10 წლის შემდეგ.

## ევროპის ეკონომიური რეკონსტრუქცია.

სამი დღის განმავლობაში (11,12 და 13 ოქტომ.) ლონდონში სხდომები ჰქონდა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც მოიწვია სიმშილთან ბრძოლის საბჭომ. კონფერენციის მიზანი იყო გამონახვა ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიურ ზომებისა, რომელიც ხელს შეუწყობდა ეკონომიური წონასწორობის დამყარებას. განსაკუთრებით ბევრი დელეგატები ჩამოვიდა გერმანიიდან იყვენ დელეგატები ავსტრიისა, პოლონეთისა, სამხრეთ-სლავიისა, ჩეხო-სლოვაკიისა, მთიან სილეზიისა, იტალიისა, უნგრეთისა და რუსეთისა. ყველა მოხსენებები, წაკითხული კონფერენციაზე და წარმოთქმული სიტყვები გამსჭვალული იყო ერთი აზრით,—აუცილებელია ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა. განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებდენ ამ ხელშეკრულობის წინააღმდეგ ინგლისელები. ინგლისელმა ბექსტონმა ვერსალის ხელშეკრულებას უწოდა „ევროპის პოლიტიკური სხეულის მომწამვლელი შხამი“.

კონფერენციას არ დაესწრენ წარმომადგენლები საფრანგეთისა და ინგლისისა. ინგლისის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის არსებობს აზრთა დიდი სხვა და სხვაობა ეკონომიურ პოლიტიკაში. იმ დროს, როცა ინგლისი მხარს უჭერს ცენტრალური ევროპის ეკონომიურად აღდგენას, საფრანგეთი იცავს უკანასკნელის იზოლიაციის და ბლოკადის პოლიტიკას. გერმანიის ეკონომიურად აღორძინება, რაც შეუძლებელია ვერსალის ხელშეკრულების გადაუსინჯავად, აუცილებელი პირობაა ევროპის ეკონომიური რეკონსტრუქციისათვის.

ამ აზრს იცავდა ყველა დელეგატები.

# უცხოეთი.

**პოლონეთი.**

დანციგის საკითხი.

პოლონეთის პროტესტი ნაციათა საზოგადოების მიერ გამომუშავებული თავისუფალ დანციგის კონსტიტუციის წინააღმდეგ შეიცავს ოთხ პუნქტს.

პირველ ყოვლისა პოლონეთი მოითხოვს საერთო კანტროლს გზებზე დანციგისრაიონში როგორც ზღვაზე ისე ხმელეთზე. ამ რიგად პოლონეთი უარს ამბობს საერთაშორისო საკანტროლო კომისიის [illegible] თავმჯდომარეობით. პოლონეთი მოითხოვს: დანციგის გემები ცურავდენ პოლონეთის დროშის ქვეშ, საბაჟო ვალდებულები იხდევინებოდეს არა გერმანული ვალიუტით. ამას გარდა პოლონეთი აყენებს საკითხს დანციგის ნავთსადგურის დაცვის შესახებ რაც სრულიად არ არის ნაგულისხმევი ვერსალის ხელშეკრულობით.

სარედაქციო კოლეგია.


ბათუმის მომხმარებელი საზოგადოება

კვირას 5 დეკემბერს 1920 წელს. დილის 10 საათზე

შესდგება

ბათუმის თვითმართველობის შენობაში

საგანგებო საერთო კრება საზოგადოების წევრებისა.

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ 1920 წ. და შედეგები. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. საპაიო გადასახადის გადიდება. 4, 1920 წ. ხარჯთ—აღრიცხვისა შესრულება და ხარჯთაღრიცხვის ზედმეტ ხარჯების გაღება. 5. მიმდინარე საქმეები.

გამგეობა.

თანახმად საზოგადოების წესდების № 32, თუ საერთო კრება არ შესდგა 5 დეკემბერს, ის გადატანილ იქნება ამაწლის 12 დეკემბრისთვის, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება და მისი გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება ყველასათვის, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას.

ნ. ა. გამყრელიძის ცირკი.

შაბათს 4 დეკემბერს



III დემოკრატიული შაბათობა III

ჭიდაობენ ორი წყვილი

1 სანდაროვი—წითელი ნიღაბის წინააღმდეგ,

2 მუშა—უცნობის წინააღმდეგ.

კვირას ბავშვების დილა.

ანონსი: ამ დღეებში გაიმართება ძმ. რიგოს ბენეფის

განცხადება

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ბათუმის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვე

ძმ. აბულაძეებმა გავხსენით

სასადილო

ნორიაში ასათიანის და შეპელევის მოსახვევში 19—20 სადაც მზადდება

იმერული საჭმელები.

და აგრეთვე იშოვება ღვინო და მაგარი სასმელები. ყველაფერი ხელ-მისაწვდენათ და ზომიერ ფასებში.

საჭმელებს ამზადებს იგივე ცნობილი მზარეული კოსტა აბულაძე.

პატივისცემით ანტონ აბულაძე,

საფირმო სახლი

ძმ. სესიაშვილები და ამხ.

შერემეტევის ქ. № 74

კავკასიური

ნატურალური კონიაკი

ვაჭრობა ბითუმათ, ბოჭკებით და ბოთლობით.

კურის ღვინო

„რეკორდი“

საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით

ყურძნის არაყი.

ხილის არაყი („ჭაჭა“)

ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიყელია.